24 ივნისი (6 ივლისი), 1866. № 17. პირველი წელიწადი.

# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

**გაზეთის ფასი:**

მიგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში:
ერთის წლისა — 7 მან.
10-ის თვისა — 6 —
ნახევრის წლისა — 4 —
სამის თვისა — 2 — 50 კ.

მაუგზავნელათ:
— — — 6 მან.
— — — 5 —
— — — 3 — 50 კ.
— — — 2 —

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება" გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

**ხელის-მოწერა მიიღება:**

ტფილისში „დროების" რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში, მალაკინის პროსპექტზედ, კ. ზუბალოვის სახლში. —

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ".

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

### რედაქციისაგან.

ხელის-მოწერა „დროებაზედ" ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება პირველისავე ნუმრიდამ.

---

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროების" ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ ეს ფული.

---

ამ ნუმერში არის: მმართებლობის განკარგულება: — უმაღლესი ბრძანება. — კავკასიის სატელეგრაფო სამმართველოს განყოფილებიდგან. — საფოჩტო ეკიპაჟების უმთავრესი დაწესების კანტორა. — მეორე მეჟევის კამმისიისაგან. მაკარიის იარმუკა 1865 წ. პოლიტიკა. — ფრანცია. — ანგლია. — იტალია. — ოსმალო. ტელეგრამმები. სალიტერატურო ნაწილი: — ისტორიული მოძრაობა განათლებისა. ფელეტონი: — რამდენიმე სურათი ჩვენის ხალხის ცხოვრებიდგან. სახაზინო განცხადება.

---

### მმართებლობის განკარგულება.

უმაღლესის ბრძანებით, რომელიც მინისტრების კამიტეტის თავს-მჯდომარემ გამოუცხადა შინა საქმის მინისტრს, 28 წარსულს მაისს, აღიკრძალება ჟურნალები „თანამედროვე" („Современникъ") და „რუსული სიტყვა" („Русское Слово"), რადგანაც იმათ დიდი ხანია აღმოაჩინეს სავნებელი მიმართულება.

კავკასიის სატელეგრაფო სამმართველოს განყოფილებიდგან. კავკასიის სატელეგრაფო სამმართველოს განყოფილება აცნობებს საზოგადოებას, რომ პოჯორის სატელეგრაფო სტანცია გაიხსნა ამ ივნისის 15-დამ.

საფოჩტო ეკიპაჟების უმთავრესის დაწესების კონტორა საყოველთაოდ გამოაცხადებს, რომ ივლისის 1 რიცხვიდამ, კავკასიის ნამესტნიკის ნება-დართვით, საფოჩტო ეკიპაჟებს ექნებათ წასვლა-მოსვლა ტფილისიდამ ქუთაისში, ერევანში, ნახიჩევანში და ჯუფში. ფასი პასსაჟირების (მგზავრების) საჯდომი ადგილებისა საფოჩტო ეკიპაჟებში არის შემდეგი: ტფილისიდამ ქუთაისამდე საჯდომი ალაგი შიგ ეკიპაჟში — 13 მ., გარეთ ეკიპაჟის კოზლაზედ — 7მან. ტფილისიდამ ერევანამდე ეკიპაჟის შიგნით — 15 მან., კოზლაზედ — 8 მან. ტფილისიდამ ნახიჩევანამდე შიგნით ეკიპაჟში — 23 მან., კოზლაზედ — 13 მან. ტფილისიდამ ჯულფამდე შიგნით ეკიპაჟში 25 მან., კოზლაზედ — 15 მან. ეკიპაჟები ივლიან შემდეგს დღეებში. ტფილისიდამ ქუთაისამდე სამშაბათობით და პარასკევობით შუადღის 5 საათზედ; ერევანამდე ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით შუადღის 5 საათზედ; ერევნიდამ ჯულფამდე ორშაბათობით და ხუთშაბათობით შუადღის 2 საათზედ და ტფილისამდე ოთხშაბათობით, პარასკევობით და ორშაბათობით 5 საათზედ დილით; ქუთაისიდამ ტფილისამდე სამშაბათობით და პარასკევობით 3 საათ. და 50 მინ. შუა ღამის შემდეგ. ჯულფიდამ ერევანამდე, ორშაბათობით და პარასკევობით შუადღის 3 საათზედ.

მეორე მეჟევის კამმისიისაგან. მეორე მეჟევის კამმისია შეუდგება სამს მომავალ მკათათვისას გამიჯვნას და გაყოფას მონაწილეთა შორის შემდგომის მამულებისას: ტბისას, ბუჟლულეთისას, ამლივისას, ბირთვისისას, აბრამეთისას, აბელიასას, წოვრეთისას, ბუდარეხისას, გორის-თავისას, ტყემლნარისას, ვარხნარისას, ბედენისას, ვაკესას, კომბალასას, საბუზრებისას, ცხვრისას, ზასას, ზის-ახაშენისას, გოხნოროსას, საქრისისას, და შემდგომ ყველთასას, ზემო-ოძისისას, ქვემო-ოძისისას, თხინვალასას, მჭავისას, ახოტისას, და სხვათა. რადგანაც ადგილობრივ არავინ მემამულეთაგანი არა სცხოვრებს, ამისთვის კამმისია აცნობებს ყველას, ვისაც საქმე შეეხებოდეს, ყური უგდონ მეჟევის კამმისიის მოქმედებას, როგორათაც გვიბძანებს მე 60 მუხლი მეჟევის წეა-დებულებისა ანუ წინათვე აცნობონ კამმისიასა, თუ სად სცხოვრებენ ამ მამულების პატრონები, რომ კამმისიამ შეიძლოს თავის დროზედ იმათ უწყება გაუგზავნოს.

---

### მაკარიის იარმუკა 1865 წელს.

ადგილობრივნი უწყებანი გვაცნობებენ: სულ მთელი საქონელი 1865 წელს იყო მოტანილი: რუსეთული 83 მილლიონი 139 ათასი 350 მანეთისა, ევროპული და კოლონიის — 9 მილლიონი 858 ათასი მანეთისა, სამხატვრო და სააპტეკო — 3 მილლიონი 823 ათასი 100 მანეთისა, ჩინეთური — 7 მილლიონი 255 ათასის მანეთისა, ბუხარის და ხივის — 2 მილლიონი 312 ათასი 300 მანეთისა სპარსული — 2 მილლიონი 280 ათასი 700 მანეთისა და კავკასიის აქეთისა — 2 მილლიონი 778 ათასი 550 მანეთისა. მთლად იყო მოტანილი საქონელი 111 მილლიონი 450 ათასი მანეთისა. გაისყიდა 98 მილლიონი 270 ათასი 320 მანეთისა და გაუყიდავი დარჩა 13 მილლიონი 186 ათასი 680 მანეთისა. 1864 იარმუკას 1865 წლის იარმუკა გადაემატა შემოტანაში 2 მილლიონი 564 ათასი 500 მანეთის საქონლითა და 6 მილლიონი 45 ათას 870 მანეთით მეტი გასაღდა.

მთელი კაპიტალი (თავნი-ფული), რომელიც იარმუკაში ბრუნავდა დასაცვლელ მანეთებითა (520 ათასის მანეთით), გამოცხობილის პურითა და შამოსავლითა, რომელიც ტრახტირებიდგან და სხვა სამოხელო შენობებიდგან შამოვიდა (390 ათასის მანეთითა), 1865 წელს შეიცავდა 112 მილლიონს 782 ათასს მანეთსა.

ამისთანა განსხვავება შემოტანილს საქონლის ციფრში მოხდა პირველად იმის გამო, რომ 1864 წელზედ 1865 წლის იარმუკაში უფრო ბევრი შემოვიდა რუსული სამანუფაკტურო (სამანუფარკტურო არის კაცის ხელით ნაკეთები საქონელი) ბამბეული, მატყლეული, ნაკერი და სამუგვის საქონელი, რკინეული, ფარფორის და ბროლის ჭურჭლები, სარკეები, პური, თევზი და ჩაი; მეორედ, იმის გამო რომ ბევრს საქონელს ფასი მოემატა, მაგალითად: მატყლსა და მატყლეულობას, აბრეშუმს და აბრეშუმეულობას, საწერ ქაღალდს, ფარატინებს (ძონძეულობას), ზოგს ბეწვის საქონლებს, თუჯეულობას, ფარფორის და ბროლის ჭურჭლებს, ყოველის გვარის პურს, ბევრს გვარს თევზს, საპონს, სტეარინის (კართოფილის) და ქონის სანთელს და საზოგადოთ სამხატვრო საქონელს.

ყველა სავაჭრო სადგომები 5,639 ნუმერი გაიცა. იმათვან ქირა შამოვიდა 186 ათასი 315 მანეთი 60 კაპეიკი იმათზედ შეწერილის 20, 15, 10, 5% (*) პროცენტითა და სააკციზო ფულითა, რომელიც არის 289 ათასი 147 მანეთი $81^{3}/_{4}$ კაპეიკი; მთლად ეს ფული 5 ათას 46 მანეთით მეტია 1864 წლისაზედ.

1865 წელს იარმუკა, როგორც უწინ, ისე 15 ივლისიდამ დაიწყო, მაგრამ მოვაჭრეები 25 ივლისზედ 2 და 3 დღით წინათ მოვიდნენ. უწინ 25 ივლისი დაწესებული ვადა იყო და ამ რიცხვამდის უეჭველად უნდა მოსულიყვნენ ხოლმე მოვაჭრენი. 1864 წელს 14 მაისს გამოცემულის წესით 25 ივლისი აღარ არის უკანასკნელი რიცხვი, რომლის დადგომამდისაც მოვაჭრეებს უეჭველათ უნდა დაეჭირათ დუქნები. ჯერ არავინ იცის, თუ რა გვარი შედეგი ექნება ამისთანა ცვლილებას; უნდა ვიფიქროთ, რომ მოვაჭრეები ყოველს წელს უფრო და უფრო დაიგვიანებენ. რა კი დამლევს ივლისს მოვიდნენ ნარდათ მყიდველნი, იმავ წამს ნარდათ ვაჭრობაც დაიწყო და ყოველს განყოფილებაში 29 აგვისტოს გათავდა; (розничная) წვრიმალი ვაჭრობა 26 ივნისს დაიწყო; აგვისტოს დამდეგს, როცა წვიმები დაიწ-

(*) პროცენტი ჰქვიან სარგებელს, რომელსაც ერთის წლის განმავლობაში ას მანეთზედ იღებენ. იტყვიან: ბანკიდამ ხუთს პროცენტს ვიღებო. ეს ნიშნავს, რომ ყოველს ას მანეთზედ წლის გასულს 5 მანეთს სარგებელს იღებენ. პროცენტი იწერება ამ ნიშნით %. ჩვენ აქ თვით ამ ნიშანსაც დავსვამთ და სიტყვითაც დავსწერთ ხოლმე, რომ ზოგმა მკითხველმა უკეთ გაიგოს.

---

### ორიოდე სურათი ჩვენის ხალხის ცხოვრებიდამ.

V.

საშინლად ბნელოდა და ხმელი ყინვაც იყო იმ ღამეს... შუაღამემდინ კი, როგორც იყო, იმაგრა ბერიკაცმა თავი და ებრძოდა ბუნებას, მაგრამ — ამაოდ. დიდი ხანია სიცოცხლემ დასძლია, გასტეხა... შუა ღამის დროს უფრო მოუმატა ყინვამ. ჩვენი ასასი ადგა ფეხზედ, დიდ ხანს იარა. როცა დაიღალა, დაწვა ძირს... ამ დროს ერთი ვიღაც ბედნიერი, კარგა ჩათბინებული, მდიდარი, ბეწვის ქურქში გახვეული ყმაწვილი კაცი მოდის, ერთი აქაური პირველთაგანი, ტანცოვშჩიცის(*) სახლიდგან, სადაც იმის ბენეფისის შემდეგ სხვათა შორის ყიჟინით და ტაშის-ცემით იმანაც მიაცილა სახლში. გზაზედ ბევრსა ცდილობდა ტახტრევანდის აწევით დაემტკიცებინა ტანცოვშჩიცისთვის თავისი უქვეშევრდომილება, მაგრამ ზედაც არავინ შეახედა. იმაზედ უფრო მორთულები და ძრიელები ეხვივნენ გარემო; ბოლოს სულის სიმწარით ელოდა ხელზედ კოცნით მაინც დამაჯილდოებსო, მაგრამ კაბაზედაც ვერ შეეხო... ეს ამბავი ამისთვის, რასაკვირველია, დიდი შეურაცხება და საწყენი იყო; წამოვიდა ჩვენი ჩიტირეკია, ახალ-გაზდა ქართველი გამწყრალი, მომდურავი ხალხისა და ცხოვრებისა, უკმაყოფილო და უმადური თავის მეერთმამულებისა, რომლებიც ვერ მიხვდნენ და ვერ იტვირთეს იმის მაღალ-კაცობრიული ჰაზრები, — უარ-ჰყვეს პროექტი, რომელშიაც ის ამტკიცებდა მიუცილებელ საჭიროებას ორიოდ რიგიანი და უფრო ბლომად თეატრების დაფუძნებაზედ თბილისში. — ამის სარგებლობას ამტკიცებდა (სუსტად) რომის და საბერძნეთის ისტორიებით. ხელოვნებაში ყველაზედ ძალიან მოსწონდა ჩვენ ფილოსოფოსს იტალიური ოპერა და ოპერაში — ბალეტი — ეს ამის სიცოცხლე იყო, — მეტადრე სადაც კიუნსლერი (**) ერთ საჟენზედ ბელლინის ცხვირში ფეხს მოარტყამდა ხოლმე, — მაშინ ხომ აღტაცებაში მოსული სულ ხელებს იმტვრევდა, სკამზედ ველარ დგებოდა ტაშის ცემით... ეს ბატონი მობრძანდებოდა, ღრმად ჩაფიქრებული, ხალხისაგან განდეგილი და იმათზედ გულ-აყრილი, მაგრამ ამ მოტანცივე ქალისაგან უფრო გაწმიწმატებული — მოვიდა და წამოაწყდა დუქნის წინ მწოლარე ბედკრულაძეს და გაჯავრებით თავზედ დაჰყვირა:

— რა ღმერთი გაგწყრომია ვიღაც ოხერი ხარ, გახეთქილ ხარ და ამ შუა გზაზედ გორაობ, შენზედ დიდი აქ არა ვინა გგონია, თუ რას ფიქრობ?!.. Что за болванъ!... невѣжа!... медвѣдь.... დაუმატა რუსულათ... და ისე ბუტბუტით ჩაიარა...

— ბატონო, ბატონო, უკაცრავად, შენი ჭირიმე, მაპატიევე, - იძახდა მაღლა შეშინებულის სახით და დანჯღრეული ნამძინარევი ხმით, ბუჩანში მყოფი ბედკრულაძე: მე დალოცვილო, რალა ამ კედელს ეკვრი, მე განგებ ხელის ტოლა ალაგი დავიჭირე კუნჭულში და ამოტოლა ფილაქანი ცარიელია; ისე რა ღმერთი გამიწყრება, არ ვიცოდე, რომ უფროსები ღამე უფრო დადიან დასაქმობენ; ჩვენისთანა დავრდომილი ხალხი უნდა ერიდოს... სულ რომ ცოტა ერთი თვეში ათჯერ მაინც არ შემდგებიან ხოლმე ფეხით ღამე... კარგა დამაძინეს... წამოდგა, დადის. სად წავიდეს, რა ქნას, სად წამოწვეს, სად მოერიდოს ხალხსა?! ფანჯარას არ შეუძლიან მიეკაროს, გუშინდელი ახსოვს, რომ ძვირად დაუჯდა იქ წამოწოლა.. ისევ ალაგზედ დაწვა, ვიწროთ, რაც შეეძლო, კარის წინ...

— პატარა დავაცადოთ, როგორც ჩაეძინა ბლახას, ახლა მეორე ჯურის უფროსი წამოადგა. თითქმის გათენებამდინ ქალალდი ეთამაშნა კლუბში, — ეტყობოდა წაგო. ზედ თავზედ წამოაწყდა საწყალ მძინარე ბედკრულაძეს და ჩაჰსძახა:

— Это что за тряпка?! და როგორც დარწმუნდა, რომ ჩოხიანი კაცი ხვრინავსო, — ჩასცხო და ჩასცხო ხალისიანად წიხლები... უეხ-ქვეშიდგან ყვიროდა საწყალი ზარ-დაცემული და დაფეთებული მოხუცი: баринъ! баринъ! — я... я... караулъ;.. баринъ.. барр...

(*) ტანცოვშჩიცა ჰქვიან თეატრში მოცეკვე ანუ მოთამაშე ქალსა.

(**) კიუნსლერი — ქალი და ბელლინი კაცი — ორნივ თეატრში იყვნენ მოთამაშეთ. —

ყო, ის რამოდენათმე შესუსტდა და 9 სეკტემბერს სრულებით გათავდა.

უფრო მკაფიო განსხვაება 1865 წლის იარმუკისა წინა წლისაზე შემდეგში იმყოფებოდა:

ბაინოვის ჩაი იარმუკაზედ 46 ათას კოლოფამდის მოიტანეს. ფასი ამ ჩაისა 1864 წლისაზედ უფრო ნაკლები იყო 10, 15 და 25% პროცენტითა (სარგებლითა). ერთი, იმისთვის რომ წარსულის წლისაზედ უფრო დაბლის სორტისა (გვარისა) იყო, მეორე, იმისთვის რომ კანტონის (ჩინეთის ქალაქია) ჩაი, რომელიც წვრილ-წვრილათ ისყიდებოდა, იყო უფრო იაფი და უკეთესის სორტისა.

ყველა სორტის რკინა 4 მილლიონი 100 ათასი ფუთი იყო იარმუკაზედ მოტანილი; 300 ათასი ფუთით უფრო მეტი, ვიდრე 1864 წლის იარმუკაზედ· რკინას 1865 წელს უფრო ნაკლებად ყიდულობდნენ. კარგი ვაჭრობა რკინისას და სპილენძის ავეჯოულობას ჰქონდა. ამისთანა საქონელი ძალიან ბევრი მიჰქონდათ აზიაში.

ბამბეული 1864 წლისაზედ 1865 წელს უფრო ბევრი შემოვიდა, იმისმა ფასმა 30% პროცენტით დაიკლო, იმის გამო რომ ევროპის ბაზრებზედ ბამბა ძალიან ბევრი შამოვიდა; ბამბის ფასიც დაეცა და ბამბეულიც გაიაფდა. ბამბეული ძალიან ბევრი გასაღდა: 1864 წლისაზედ 600 ათასი მანეთით გადაემეტა. მცირე რუსეთის იარმუკებზედ და მაკარიის 1864 წლის იარმუკაზედ მატყლის გაძვირების გამო 1865 წელს მატყლეული ძვირი იყო; განსაკუთრებით მაუდი გაძვირდა. ამ გვარი გაძვირება უფრო იმის ბრალი იყო, რომ წინა წლებში ძალიან ბევრი მატყლი ევროპაში გაზიდეს. 1864 წლის იარმუკაზედ მატყლეულის ფასმა 15% პროცენტით აისწია. 1865 წლის იარმუკაზედ, კიდევ ამ ფასმა 12% პროცენტი მოიმატა. მაგრამ, როგორც თვით ვაჭრები იტყვიან, მატყლის საქონლით ვაჭრობა მაინც საკმაყოფილო იყო, განსაკუთრებით კარგათ იყიდებოდა მაუდი, ასე რომ გაუსყიდავი მხოლოდ შამოტანილის მერვედი დარჩა.

აბრეშუმეული 1865 წელს ძალიან ცოტა იყო მოტანილი, მაგრამ ფასით კი იმდენს უდრის, რამდენიც 1864 წლის იარმუკაზედ იყო შამოტანილი.

რადგანაც ყველა სორტი აბრეშუმისა ძალიან ძვირი იყო, ამისთვის აბრეშუმეული ბევრათ უფრო ძვირათ ისყიდებოდა, ვინამც 1864 წლის იარძუკაზედ და ამისთვისაც ჰქონდა ასე საშუალო გამოსავალი.

ბეწვის საქონელში განსაკუთრებით საკმაყოფილო იყო შეკერულის ტყავებით ვაჭრობა; ცხვრის ტყავები, ქურქები და ბატკნის ტყავები თუმცა სიაფესგამო უკეთ ისყიდებოდნენ, ვინამც 1864 წლის იარმუკაზედ, მაგრამ, რაც მოტანილი იყო, იმის ნახევარი მაინც გაუსყიდავი დარჩა. მინის, ფარფორის და ფაისონის საქონლით ვაჭრობა ძალიან საკმაყოფილო იყო. ამ გვარი საქონელი 1865 წლის იარმუკაზედ 610 ათასი 300 მანეთით უფრო მეტი იყო მოტანილი, ვიდრე 1864 წელს. ამ საქონლის რაც გაუყიდავი დარჩა, ის მთელის მოტანილის ერთს მეექვსედს თუ შეადგენს, მეტს არა.

საზღვარს გარეთის მანუფაკტურის და მოდის საქონელი საშუალოდ ისყიდებოდა, იმის გამო, რომ ცუდი დარები დადგა და წვრიმალი ვაჭრობა კარგი არ იყო.

კავკასიის აქეთის საქონლებში დერბენდისა და ყუბანის ენდრო 310 ათასი ფუთი შემოიტანეს. გაუსყიდავი მხოლოდ 40 ათასს ფუთამდის დარჩა. ვინც კი ენდროთი ვაჭრობდა, 1865 წელს ყველამ კარგი ზარალი ნახა. ადგილზედ ისინი ფუთს ენდროს 5 მანეთიდამ და 85 კაპეიკიდამ 6 მან. და 15 კაპეიკამდე აძლევდნენ. ყიდულობდნენ 1864 წლისაზედ უფრო ძვირად. ენდრო მეტად ბევრი შამოიტანეს, ისე რომ 135 ათასი ფუთით უფრო მეტი იყო შემოტანილი, ვიდრე 1864 წელს; მყიდველი კი იმდენი არ იყო; ამისთვის ვაჭრებს მეტი ღონე არ ქონდათ, უნდა გაესყიდათ უფრო ნაკლებ ფასად, ვინამც თვითონ იმათ ადგილზედ უყიდნიათ. კავკასიის აქეთიდამ მოტანილი აბრეშუმი თითქმის მთლად გაუსყიდავი დარჩა.

ახალ მოჭ. მანეთსაც ფასი ჰქონდა. სრულის წონის ხუთმანეთიანი ოქრო თავდაპირველად, როცა იარმუკობა დაიწყო, 6 მან. და 10 კ. ვადიოდა; შემდეგ კი—6 მან. და 20 კაპ. იყო; 100 ეკატირინის მანეთში აძლევდნენ 113 და 114 მანეთს. 100 მანეთში, რომელიც ახალი მოჭრილი იყო, აძლევდნენ 120 და 121 მანეთს. ამისთანა ფული განსაკუთრებით აზიელებს მიჰქონდათ. ისინივე და უფრო კიდევ კავკასიის აქეთელები აგროვებდნენ ახალს მოჭრილს ორშაურიანს. მანეთის ორშაურიანებში აძლევდნენ 1 მანეთსა და 15-ს ან 16-ს კაპ. ბევრი ქალაქის მოვაჭრეები, რომელთაც ნისიათ ჰქონდათ წაღებული საქონელი, არ წასულან იარმუკაზედ, რომ ფასი გადაეხადნათ წაღებულს საქონელში, ამისთვის რომ ცეცხლმა ბევრი ზარალი მისცა იმათ.

მაგრამ იარმუკაში ფულის ნაკლებულობას მაინც არა ვინ გრძნობდა: დისკონტერები ილებდნენ წლის ვექსილებს და სათავნოდ მხოლოდ $6\frac{1}{2}$,7 და 8 სარგებლის მეტს თავნზედ არ აძლევდნენ.

სახელმწიფო ბანკის კანტორამ სადისკონტოთ გასცა ვ ქსილით 2 მილლიონი 800 ათასი მანეთი.

## პოლიტიკა.

**ფრანცია.** წიგნი მიწერილი იმპერატორის ნაპოლეონისაგან უცხო ქვეყნის საქმის მინისტრთან, უ. დრუენ-დელუისთან.

„ტულერის სასახლე, 1866 წელს 11 ივნისს.

„უფალო მინისტრო,

„რაკი გამოჩნდა, რომ მშვიდობიანობის იმედი, რომელიც კონფერენციის შეყრაზედ გვქონდა, მოისპება, ამისთვის ამ ჟამად მიუცილებლად საჭიროა, რომ ცირკულიარით გარდასცეთ საზღვარს გარეთ სადიპლომატო აგენტებს ის აზრი, რომელიც უნდოდა ჩემს მმართებლობას ევროპის რჩევაში შეეტანა; აგრეთვე განუცხადეთ ის რიგი მოქმედება, რომელსაც ჩვენ განვიზრახავთ იმ შემთხვევაში, რომელიც აწ ემზადება, რომ მოხდეს.

„ამ გვარის განცხადებით ცხადათ დაინახვენ ჩვენს ჭეშმარიტს პოლიტიკას.

„კონფერენცია რომ შეყრილიყო, თქვენ უნდა გამოგეცხადებინათ ჩემის სახელით, რომ მე აზრშიაც არა მაქვს ახალი მიწის შეძენა, ვიდრემდის ევროპის სახელმწიფოებს შუა თანასწორობა არ დაირღვევა. თქვენც იცით, რომ ყოველს თქვენს სიტყვას ამ რიგათ უნდა დაეჯერებინა ყველა კონფერენციაში.

„სწორეთ ჩვენც განვიზრახავდით ჩვენის საზღვრების გავრცელებას, თუ რომ რომელსამე ევროპის სახელმწიფოს განსაკუთრებით მიეთვისებინა ახალი მხარეები და თუ ჩვენი მოსაზღვრე პროვინციები გამოაცხადებდნენ სურვილს ჩვენთან შეერთებისას.

„ამ გვარის გარემოების გარდა მე მგონია, ჩვენის ქვეყნის ღირსი უფრო ის იქნება, რომ ვიცხოვროთ კეთილის თანხმობით ჩვენს მეზობლებთან, პატივი ვსცეთ იმათს დამოუკიდებლობას და ხალხობას, ვინამც ახალი ქვეყნის მოპოება გულში განვიზრახოთ.

„აღორძინებულმან ამ გვარის გრძნობითა მე მოვიპატიჟე ანგლია და რუსეთი, რომ ჰოდავე სახელმწიფოებისთვის გვეთქვა, რომ ისინი შერიგებულ იყვნენ. მე მხოლოდ ისა მქონდა სახეში, რომ მშვიდობიანობა დაცულიყო.

„თანხმობა, რომელიც ნეიტრალურს სახელმწიფოებს შუა დამყარდა, უნდა იყოს დასარწმუნებლათ, რომ ევროპას არაფრის შიში არა აქვს. ევროპის სახელმწიფოებმა გადასწყვიტეს, რომ კონფერენციამ განსაჯოს მხოლოდ წარმავალი საქმეები. ამითი აღმოაჩინეს იმათ, რომ ისინი არავის არ მიემხრობიან.

„მე ვგონებ, რომ ამ საქმეების გადასაწყვეტათ უნდა გულ გახსნით მიეყოთ ხელი, აეხადნათ იმათთვის დიპლომატიური [illegible] და მიეღოთ ყურადღებაში კანონიერი სურვილი მონარხებისა და ხალხებისა.

„განხეთქილება სამის მიზეზის გამო წარმოსდგა:

„ერთი, რომ პრუსსიის გეოგრაფიული მდგომარეობა ცუდათ არის შამოფარგლული.

„მეორე-რომ გერმანია ითხოვს პოლიტიკურს გადაკეთებას, რომელიც უფრო შეესაბამება იმის საზოგადო საჭიროებას.

„მესამე, რომ იტალია საჭიროებს, რომ იმისი სახალხო დამოუკიდებელობა დამყარდეს. ნეიტრალური სახელმწიფოები ვერ გაერევოდნენ გარეშე ქვეყნის შინა საქმეში. მაგრამ სახელმწიფოებს, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ გერმანიის კავშირის კონსტიტუციის შედგენაში, ჰქონდათ სიმართლე, რომ განეხილათ საქმე ამ რიგათ:—რეფორმები, რომელნიც უნდა მოეხდინათ გერმანიის კონსტიტუციაში, შეარყევენ თუ არა დამყარებულს წესიერებას ევროპაში?

ჩვენის მხრით კი გვინდა, რომ გერმანიის მცირე სახელმწიფოებს შუა დამყარდეს უფრო მჭიდრო კავშირი; რომ ამ სახელმწიფოებმა მიიღონ უფრო ძლიერი ორგანიზაცია (შეწყობილება) და უფრო დიდი მნიშვნელობა მიეცეთ იმათ (მოიწონებენ). ჩვენ გვინდა, რომ პრუსსიამ მიიღოს უფრო ერთგვარი შედგენილება (составъ) და განძლიერდეს ჩრდილოეთით; რაც შეეხება ავსტრიას, ჩვენ გვსურს, რომ იმან დაიცვას ის პატივ-საცემი მდგომარეობა, რომელიც იმას ახლა გერმანიაში აქვს. (ბევრი ხმა:—ძალიან კარგია, ძალიან კარგი!) ამას გარდა, ჩვენ გვინდა, რომ ავსტრიამ შესაფერს სამაგიეროში დაუთმოს იტალიას ვენეცია. (ძლიერ კარგია, ძლიერ კარგი!); თუ ავსტრია პრუსსიასთან ერთად მოქმედებდა, არ მიაქცევდა ყურადღებას 1852 წლის პირობას და დანიას გერმანიის ინტერესისთვის (სარგებლობისთვის) ჩხუბს დაუწყებდა, მაშ სამართალიც ამას მოითხოვს, რომ ავსტრიამ მიიღოს იტალიაში ის პრინციპი (თავის რწმუნება), რომლისთვისაც ის ებრძოდა დანიას და დაბოლოვოს აპპენინის ნახევარ-კუნძულის (იტალიის) განთავისუფლება (მოიწონებენ). აი ამ გვარია ის იდეა (აზრი), რომელიც მშვიდობიანობის დასაცველად ჩვენ გვინდოდა, რომ ევროპაში გავრცელებულიყო. ამ ჟამად შეიძლება იმის შიში გვქონდეს, რომ ყველა სადაო საქმეები მარტო ხლმით გადასწყდება. ამ გვარის გარემოების შემხედვარე, რა რიგი მდგომარეობა უნდა მიიღოს ფრანციამ? უნდა გამოვაცხადოთ, თუ არა ჩვენ უკმაყოფილება იმისგამო, რომ გერმანია აცხადებს:—1815 წლის ტრაქტატებს არ შეუძლიანთ დააკმაყოფილონ გერმანიის სა-

---

бар... წიხლების ცემა საცოდავს ბედკრულაძეს სიტყვებს შუაზედ აწყვეტინებდა.

უფროსს ეგონა, ეს მხეცის მგზავსი ჩოხანაბდიანი კაცი გაკადნიერდა და ყარაულს ეძახის, უნდა მოიშველოს ჩემ დასაჭერათო, ის კი არა თუ ის უბედური ყ ა რ ა უ ლ ი თავის ვინაობას უცხადებდა უფროსს და ამ სიტყვებით მიზეზს ეუბნებოდა, აქ რათა ვგდივარ მხეცსავითაო,—მაგრამ იმას რა ენაღვლებოდა; ნახა დრო ჟინის მოსაკლელად და ჯავრი იყარა, ბრაზი გახეთქა ამაზედ... როდესაც კარგა გული ისრულა დალალული წავიდა ლანძღვით....

—წამოვარდა ბერიკაცი ყმაწვილსავით მარდათ, სისხლ ყელში მოსული, ნაღველა ამღვრეული და კბილების ღრჭენით. თითონაც არ იცოდა, რას ამბობდა, თმას და წვერ-ულვაშს გაბრაზებული იგლეჯდა. ძნელი გამოსათქმელია ისა, რასაც გლახა გრძნობდა... ვიცი მკითხველი შემეწევა და ნებას მისცემს თავის გამოხატულებას წარმოიდგინოს ბედკრულაძე ამ მდგომარეობაში...

დიდ ხანს ველარ დამშვიდდა ბედკრულაძე, თვალი ველარ მოხუჭა გათენებამდინ... დღე კიდევ ისევ შეშის მჭრელობა, ისევ ის ცხოვრება ელის. რაც გუშინდელ დღეს, ის ხვალ, ის ზეგ, ის მას ზეგ... საფლავის კარებამდინ, რომელსაც ყოველს წამს ნატრობს და ელის... სადღაც და როგორღაც მოელის განსვენებას, ვისთან და რით, თითონაც არ იცის, მაგრამ უნდა კი ნახოს სიამოვნება, ბედნიერი ცხოვრება, როგორც ყველა კაცის ბუნება მოითხოვს... ამას აწმდგომმა, ქვეყნიერმა ცხოვრებამ უმტყუნა, ბედ-იღბალმა უმუხთლა; აქაურნი ყველანი მ ძ ვ ი ნ ვ ა რ ე დ მოექცნენ, —ახლა აგერ ცალი ფეხი კიდეც საფლავში უდგას... ერთი უკანასკნელი იმედი და სასოებალა დარჩენია მხოლოდ ს ა ი ქ ა ო ზ ე დ... იმას თითქოს ხედავს კიდეცა ტრედის ფრად რომ ინათლებს და მიბჟუტავს „ცისკარს“ (ვარსკვლავს) ლურჯ ცის კამარაში თვალს რომ აავლებს ხოლმე, რაღაც საიდუმლო ტუჩების ცმაცუნით, თითქოს ეხლა-აქვე ეწაფება სამოთხის ნეტარებასაო,—სადაც ფეხქვეშ მაინც აღარ გათელავენ მიმავალ-მომავალნი, სადაც მუცელიც გაუძღება ან სულ საჭმელი არ მოუნდება, რადგან უსხეულო იქნება. ასე ფიქრობს ბედკრულაძე. ბევრს ამ გვარს იოცნებს გაჭირებული კაცი.... თითქმის ყველა ბ ე დ კ რ უ ლ ა ძ ი ს და უ მ ე ც ა რ ი ძ ი ს სიზმარი სულ ეს არის.

მაგრამ, ბედნიერო მკითხველო, განა გავისტუმროთ აგრე ჩვენზედ გულ-აყრილი ბერიკაცი, დაწყლულებული ყოველის მხრით: გონებით, ზნეობით და სხეულით; მოძღურავი ყველასი, შიშველ-მშიერ-წყურვალი საიქაოსა? იქ თუ დ მართლა ყველაფერი თავზედ-საყრელიც ჰქონდეს—ჩვენი რა მადლიელი?:..

—არა, მოდი, გაუტკბოთ ეს ქვეყნიური სიცოცხლეცა ისე გულ-დაწყვეტილ და თავისა და ბედის მაწყევარს ნუ გაუშვებთ? იმასაც ვაჩვენოთ რამდენიმე ბედნიერი დღეები ამ სოფელში! ვაგრძნობინოთ, რომ შეიძლება კაცი ამ ცხოვრებაშივე დაეწაფოს უკვდავების წყაროს და ნეტარებას, რომლის....

(შემდეგი იქნება).

## გ ა ს წ ო რ ე ბ ა.

„დროების“ № 12 იყო დაბეჭდილი ლექსი „ჩემს კრიალოსანს.“ ამ ლექსის პირველს მუხლში შეცდომა მოგვსვლია: ჩვენ დაგვიწყებია მუხლში მესამე სტრიქონის დაბეჭდვა. ამისთვის ავტორის წინაშე ბოდიშს ვიხდით და გავასწორებთ.

არის დაბეჭდილი:

მიყვარდი კრიალოსანო, ერთს მინუტს არ გცილდებოდი.
ფეხ მოკეცილი ვიჯექი და ისე შეგექცეოდი;
ფიქრს ყველას შენ მიკარგავდი, შენის თამაშით ვტკბებოდი;

უნდა დაბეჭდილიყო:

მიყვარდი კრიალოსანო, ერთს მინუტს არ გცილდებოდი;
ფეხ მოკეცილი ვიჯექი და ისე შეგექცეოდი;
არას ვზრუნავდი სრულებით, როს ჩემთან შენ იქნებოდი;
ფიქრს ყველას შენ მიკარგავდი, შენის თამაშით ვტკბებოდი.

რედაქტ.

ნაციონალო (სახალხო) წადილი და არც შეუძლიანთო მიანიჭოს იმას მყობადში მშვიდობიანობა. ჩვენ გვაქვს ორ გვარი განზრახვა იმ ომში, რომელიც მზათ არის დაიწყოს: დაფარვა პოლიტიკურის თანასწორობისა სახელმწიფოებს შორის ევროპაში, და აგრეთვე დაფარვა იმ პოლიტიკურის შენობისა, რომელიც ჩვენის შეწევნით იტალიაში აღიგო (ძალიან კარგია! ძალიან კარგი!). მაგრამ ამ ორის განზრახვის დასაცველათ ნუ თუ მარტო ზნეობითი ავტორიტეტი (პირისადმი პატივისცემა) ფრანციისა არ იქნება საკმაოდ? ნუ თუ ის იქნება იძულებული ხმალი ამოიღოს, რომ მისცეს თავისს სიტყვებს უფრო დიდი ძალა? არა ვგონებ, რომ ეს მოხდეს, (ხელ ახლა ნიშანს აძლევენ, რომ მოსწონთ). თუ რომ, ჩვენის წადილის წინაალმდეგ, მშვიდობიანობის იმედი არ გამართლდა, ჩვენ მაინც სიტყვა გვაქვს იმ სახელმწიფოებიდგან, რომელნიც იბძვიან, რომ, ომი როგორც უნდა გათავდეს, არც ერთი იმ საქმეებთაგანი, რომელნიც ფრანციას შეეხება, ისე არ გათავდება, რომ თვითონ ფრანციას არ ეკითხოს (ძალიან კარგია! ძალიან კარგი!). დავიცვათ ნეიტრალიტეტობა და მივიღოთ მოლოდინე მდგომარეობა. ჩვენ ვართ მაგარნი ჩვენის უანგარობით. აღორძინებულნი იმ სურვილითა, რომ ევროპის ხალხებმა დაივიწყონ თავიანთი განხეთქილება და ურთიერთ შორის დაამყარონ ცივილიზაციის (განათლების), თავისუფლების და წარმატების სასარგებლოთ კავშირი, ჩვენ გვექნება სრული სარწმუნოება ჩვენს სიმართლეზედ. ჩვენ ვართ ძლიერნი და ამისგამოც დავიმარხავთ მშვიდობიანობას. (დიდ ხანს ტაშის ცემა და მოძრაობაა). ამასთანავე, უფ. მინისტრო, ღმერთსა ვსთხოვ, რომ იმან თვის საფარს ქვეშე დაგიცვათ.

„ნაპოლეონი“.

**ანგლია.** უფ. გლადსტონის გამოცხადება ქვემო-პალატაში, თუ რა რიგს მდგომარეობაშია საქმე კონტინენტზედ (ხმელეთზედ).

11 ივნისის ყრილობაში, უ. კინგლეკი სიტყვით სასტიკად ეცა უ. ბისმარკს და იტალიას, რომელსაც დაარქვა იმან ევროპის მშვიდობიანობის შემაშფოთებელი. ის კიცხავს ანგლიის მმართებლობას, რომ ურჩევს ავსტრიას ვენეციის დათმობას და ამრიგათ აქეზებს იტალიას. ის ამბობს, რომ იტალიას სურს გავრცელდეს და ხელსამძღვანელად აქვს გარიბალდის პრინციპები (თავი რწმუნება), რომელნიც ფენიელების წადილისაგან არასფრით არ განირჩევიან.—უ. გლადსტონი ეწინაალმდეგება ამრიგათ საქმის განხილვას ახლანდელს გარემოებაში. საქმე ვენეციაზედ კი არ არის, არამედ იმაშია, რომ სალერცოგეების საქმე უნდა სეიმს გადასცენ განსახილავად და შეჰკრიფონ ღოლშტეინის მთავრობა, რომლისგამოც უეჭველად ომი დაიწყება. უ. გლადსტონი ეწინაალმდეგება იმ აზრს, რომ იტალია შერაცხონ იმისთანა სახელმწიფოდ, რომელიც განხეთქილებას სთესავს. იმას არ უნდა, რომ სთქვან:—იტალია არის მიზეზი, ახლანდელის გაჭირვებულის მდგომარეობისა, იმისთვის, რომ ის აღიჭურვა. ანგლიის მმართველობას არ აუქეზებია იტალია. იმას არ ურჩევია აფიციალურად, ავსტრიისათვის დაუთმოს იტალიას ვენეცია, მაგრამ თვითონ ვენის კაბინეტმაც კარგათ იცის, რომ ეს შვიდი წელია რა აზრის არის ანგლიის მმართველობა ვენეციის საქმის შესახებ. მმართებლობა არაოდეს არ შერყეულა, რომ თავის აზრი გამოეცხადებინა. ის უარს არ არის თავის აზრზედ, მაგრამ ნანობს კი, რომ ის ხმა მაღლა უნდა წარმოსთქვას. ახლა ავსტრიას ჩვენ გამოუცხადებთ სალერცოგეების საქმეში თანაგრძნობას და მოვითხოვთ, რომ იმას ამ საქმეში სიმართლე არ დაეკარგოს. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ იმას არ აქვს სიმართლე მოითხოვოს ჩვენგან იმგვარივე თანაგრძნობა იტალიის საქმეში.

**იტალია.** მაძინის წიგნი. ვბეჭდავთ აქ იმ წიგნს, რომელიც მაძინიმ გაგზავნა ერთს საიტალიო მიტინგში (შეკრებილებაში) ლონდონს. აი ეს წიგნი.

„უფალნო, ნება მომეცით წიგნში გამოვსთქვა ჩემი მეგობრული თანაგრძნობა თქვენის წინადადებულის განზრახვისადმი, რადგანაც ავათმყოფობის გამო არ შემიძლიან მე თვითონ დავესწრა თქვენს კრებაში. თვითოეულმან ჩვენთაგანმა დაიმარხოს შეუხებლად თავის გულში თავის რწმუნება, თუ რა მყობადი უნდა ექნეს ჩვენს ხალხს, და ან რა რიგს საქმეში უნდა გაერთოს იმისი შინა პოლიტიკა; მაგრამ სანაციონალო (სახალხო) საქმეში ჩვენ ყველამ ერთსულობა უნდა ვიხმაროთ და გავემზადოთ საზოგადო საქმისთვის. ვინც არ აასრულებს ამ მოვალეობას, ის შეიქნება მამულის მოღალატე. ვენეციის შესახებ, ჩვენის საზღვრების შესახებ, მტრის შემხედვარე, ჩვენ უნდა განგვამხნევებდეს ერთი ხმა: ომი! საზოგადო ომი! ომი ყოვლის ღონის-ძიებით, რაიცა არს ჩვენს ხელში. ომი, ვიდრე ალპი და ზღვა ჩვენი არ გახდება! და ეს ომი, უფალნო, ჭეშმარიტად არის იტალიური ომი, რადგანაც იმან უნდა აღადგინოს ჩვენი ერთობა და გაგვიხსნას ხელ ახლა ხალხებს შორის ჩვენი მოქმედების ასპარეზი, რომელიც გვაქვს ნაანდერძები ჩვენის წინაპრებისაგან. მე ვთქვი: იტალიური ომი! რომ ეს ომი მართლათაც ამისთანა შეიქნეს, რომ ძლევისგან გამოღებული ნაყოფი, ჩვენ გვეკუთნოდეს, რომ ჩვენ გვექნეს დამოუკიდებლობა, რომელიც აქამდის ჩვენ ვერ მოგვიპოვებია; საჭიროა, ყველანი, იტალიაში დაბადებულნი,-რა ქვენის ნაწილშიაც უნდა იმყოფებოდნენ,—რომ ყველანი ისინი იყვნენ, როგორც ერთი კაცი, გამხნევებულნი ერთის გრძნობითა. ეს არის იმათი წმინდა მოვალეობა. დიდ-საჭიროა, რომ ევროპა მტკიცედ იყოს დარწმუნებული იმაზედ, რომ ჩვენ შეგვიძლიან მარტონი ვიბრძოდეთ ბრძოლის ასპარეზზედ; უნდა ვაჩვენოთ ჩვენი თავი იმდენათ ძლიერათ, რომ სთქვან:—ჩვენ შეგვიძლიან მოვიპოვოთ ჩვენი თავისუფლება. დეე, ყველანი მოგვეხმარონ თავისის მოქმედებითა, ჭირნახულითა, სიტყვითა, ვისაც კი იტალიელი გული უცემს.

„გიგზავნით პირველს შესაწირავს იმ კამიტეტისთვის, რომელიც აწ უნდა დაარსდეს. იტალიის მმართებლობა არ საჭიროებს ჩვენს შეწევნასა. პალატამ სრული ნება მიანიჭა იმას, ყოველს გვარს საფინანსო შემთხვევისათვის. თქვენს შეწევნას განსაკუთრებით სახეში უნდა ყვანდეს ვოლონტერების არმია, რომელსაც წინ მიუძღვის გარიბალდი; შეეწიეთ იმას და ამით თქვენ შეეწევით თვით მმართებლობას. დაიფიცეთ, რომ შესწირავთ ყოვლის ფერს, რაც რამე გაბადიათ, რაც შეგიძლიანთ აწ მოიპოვოთ, ერთის სიტყვით დაიფიცეთ, რომ თქვენ მოიხმართ ყოველს გვარს ღონის-ძიებას, რომ აასრულოთ ის, რაც იტალიის ომს განუზრახავს, ესე იგი, უცხო ქვეყნელების გაგდება და სანაციონალო ერთობის დამყარება. კამიტეტის პასუხი გვიჩვენებს და აგვიხსნის თუ რა რიგათ მოიხმარს ის შეგროვილს ფულს. რაც კი ჩემის ღონისგან შესაძლოა, ყოვლის ფერზედ მზათა ვარ, გიმსხვერპლოთ თავი ჩემი.

**ოსმალო.** საომრად მომზადება ოსმალოსი: ერთი ფრანცუზული გაზეთი პატრი (Patrie) ამბობს, რომ ჩვენ კონსტანტინოპოლიდამ მოგვწერეს შემდეგი ამბავი, რომელიც აცხადებს განზრახვას პორტისას (ოსმალოსას).

ოსმალეთში ორი ესკადრა შეიარაღებული არი; ერთი—ვიცე-ადმირალის იბრაჰიმ-ფაშის წინამძღომლობის ქვეშ დგას ახლა კანდიასთან, მეორე კი ვიცე ადმირალის მეჰემფაშის წინამძღომლობის ქვეშ ახლახანს მიადგა ალბანიას. ამ ესკადრებს გარდა ოსმალოს მმართებლობას კიდევ უნდა შეადგინოს ჩაჩქან-მოსილი დივიზია, რომელიც უნდა იყოს შემდგარი ორის ფრეგატისგან და ორის ამ გვარისვე კორვეტისგან, რომელნიც ამ ცოტას ხანში ანგლიაში აღაგეს და დიდის ზომის ზარბაზნებით აღჭურვეს.

საობსერვაციო კორპუსი დუნაიზედ უნდა 40 ათასს კაცამდის შეასრულონ. განსაკუთრებით ესა სურს ომერ-ფაშას. ის დასთანხმდა ამ კორპუსის სარდლობაზედ და ამ ჯარის უმთავრესი ადგილ-სადგომი რუშჩუკში უნდა იყოს.—საობსერვაციო კორპუსი მოსტარში 10 ათას კაცამდის შეგროვდა. გარნიზონები კი სკუტარისა, იანინისა, ტრიკალისა, კროიასი, ოხრიდასი, უნდა გააძლიერონ. ყველა ეს განკარგულებანი კიდეც გადაწყდნენ და ზოგი იმათგანი აღსრულებაშიაც მოჰყავთ; აგრეთვე ბევრნი ფიქრობენ, რომ ამ უკანასკნელს დროში ზოგიერთი ამ განკარგულებათაგანი უნდა შეიცვალოსო. 1-ს ივნისიდამ ომერ-ფაშა სატახტო ქალაქს არ მოშორებია, მაგრამ იმან ინჟინერის პოლკოვნიკი და ერთი მმართებელი არტილლერიის ესკადრონისა გაგზავნა რუშჩუკში, რომ თავისის უმთავრესის ადგილ-სადგომისთვის ალაგი ამოარჩიონ. იმის ადიუტანტებიც იქვე წავიდნენ.

## ტ ე ლ ე გ რ ა მ მ ე ბ ი,

პეტერბურგში მიღებული.

ბ რ ე ს ტ ი, 31 მაისს (12 ივნისს.) ფრანცუზის პარახოდმა „პერეირამ“ მოიტანა ნიუ-იორკიდამ, 21 მაისიდამ (2 ივნისიდამ), ამბავი, რომ ფენიელები კანადას შეესივნენ და, რადგანაც მოწინაალმდეგეთ არავინ გამოუჩნდათ, ამისთვის წინ მიდიან. ანგლიელებმა დასტოვეს ფორტი, რომელიც ქ. ბუფფალოს პირდაპირ იმყოფება.

ლ ო ნ დ ო ნ ი, 1 (13) ივნისს. ათინადამ გვაცნობებენ: საბერძნეთის კარომა გიორგიმ მიიწვია მფარველი სახელმწიფოების ელჩები, აუხსნა იმათ საბერძნეთის მდგომარეობა, რომელიც არის უკანასკნელს განწირულებაში, და სთხოვა იმათ რჩევა.

ლ ო ნ დ ო ნ ი, 1 (13 ივნისს.) ნიუ-იორკიდამ გვაცნობებენ, რომ ვაშინგტონის სენატმა მიიღო დამატება იმ ბილლისა, რომელიც კავშირის აღდგინებას შეეხება. ეს დამატება აცხადებს, რომ არ შეუძლიანთ ხელ-ახლა სამსახურში შესვლა იმ კაცებს, რომელნიც შინაურს ომიანობის დროს კავშირს გაუდგნენ.

ავსტრიის გაზეთში (Die Presse), 1 ივნისს სწერენ: ანგლიის მმართებლობამ გამოუცხადა ვენის კაბინეტს, რომ ის თანახმაა პრინცის კარლის ღოღენცოლლერნის მთავრათ ყოფნაზედ რუმინიაში, იმ პირობით, რომ იმან მიიღოს ფიცი სულთანის ვასსალობაზედ.

ღ ა ნ ო ვ ე რ ი, 5 (17) ივნისს. დღეს, საღამოს 7 საათზედ პრუსსიის ღენერალი ფოგელი ფონ-ფალკანშტეინი შევიდა ქ. ღანოვერში პრუსსიის ჯარითა.

ბ ე რ ლ ი ნ ი, 5 (17) ი ვ ნ ი ს ს. პრუსსიამ პროტესტი მისცა იმაზედ, რომ ბავარიამ დაიჭირა ფრანკ-ფურტის ტელეგრაფის სტანცია და გამოუცხადა, რომ იმისი ამ გვარი ყოფაქცევა ხალხების საურთიერთო სიმართლის დარღვევას ნიშნავსო.

ტფილისში მიღებული.

პეტერბურგი, 19 ივნისს.

ხელმწიფე მემკვიდრე ცესარევიჩი დაინიშნა დანიის პრინცესსაზედ დაგმარაზედ. პრუსსიის პირველის არმიის დივიზიას, ღენერლის გორნისას ჰქონდა ხელდახელი ცხარე-ბრძოლა ტურნაუს მახლობლად ავსტრიის დივიზიასთან, რომელსაც წინამძღომლობდა პოტჩატლი; პრუსსიელებმა 500 კაცი ტყვეთ წაიყვანეს. 15 ივნისს პრუსსიელები შეებნენ ღანოვერლებს ლანგელზაცის, ... მერკსლებენის გარემოში და ინსპრუკზედ... 12 ივნისს ავსტრიელებმა ძალიან დაამარცხეს იტალიის კაროლის არმია კუსტოცაზედ, ვერონასა და პესკიერას შუა; იტალიელებმა 2 ათასი ტყვე და ბევრი ზარბაზნები დაჰკარგეს.

ლორდი როსსელის სამინისტრომ სამსახურს თავი დაანება. „Times“, ერთი ანგლიის გაზეთი, გვაცნობებს, რომ ლორდს დერბის მიანდესო ახალის სამინისტროს შედგენა.

## სალიტერატურო ნაწილი.

### ისტორიული მოძრაობა განათლებისა.

### VII.

ისტორიის გარდა ხალხის სვეს გამოგვიხატვენ სტატისტიკა, საპოლიტიკო ეკონომია და ჟურნალები. ესენი აგროვებენ იმაზედ ნამდვილს და დაწვრილებითს ცნობებს, უჩვენებენ იმისს საჭიროებას, ეძებენ ღონის-ძიებას ნივთიერებითის და ზნეობითის მდგომარეობის წარმატებისთვის.... ხალხის კეთილ-დღეობისათვის ყველგან მოისპო ბატონ-ყმობა ანუ პირადი დამოკიდებულება ადამიანისა ადამიანზედ. უკანასკნელს დროს განთავისუფლდნენ რუსეთის გლეხნი. უმაგალითოა ეს საქმე ისტორიაში. ბევრს ადგილს ევროპაში დამონავებულის ხალხის განთავისუფლება მოხდა სისხლის ღვრით. თვით მომატებულათ წინ წასულს ქვეყანაში, ამერიკის შეერთებულს შტატებში, ოთხის მილლ. ნეგრების გამო, ასტყდა გასაოცარი შინაური ბრძოლა, რომელიც გაგრძელდა 4 წელი და რომლის მსგავსიც კარგი ხანია არ მომხდარა. რუსეთში 22 მილლიონი ყმა განთავისუფლდა მხოლოთ ხელმწიფის ნებით და სიტყვით. აქ წინაალმდეგობა თავად-აზნაურობას არ უჩვენებია; გლეხებს მიეცა სახლ-კარი და სახნავ-სათესი მიწა. ზემსტვოში ანუ სათემო ყრილობაში იმათ მიიღეს ერთნაირი ხმა მებატონეებთან. დაიდვა საფუძველი კეთილ-დღეობისა. მომავალში რუსეთს უნდა მიელოდეს უკეთესობა. ამასაც ნუ დავივიწყებთ, რომ რუსეთს არა ჰყავს მდიდარი ფულის არისტოკრატია, რომელიც მდიდრდება უსამართლოთ ხალხის შრომით. რამდენათაც მეტათ არის რომელიმე სახელმწიფო განთქმული სიმდიდრით, იმდენათ მომატებულნი არიან იქ უკიდურნი ღარიბნი. მოვიგონოთ ანგლია: აქ რამდენსამე ასს მდიდარს, რომელთაც ათობით აქვთ მილლიონი წლის შემოსავალი, გარს ახვევია აურაცხელი რიცხვი ხალხისა, რომელიც შიმშილით იხოცება. ამ მდიდრებმა გაცრცვნეს ირლანდიელები, ძალით წაართვეს იმათ საკუთარი მამული და თვით იგინი თავიანთს თავს მიანდეს. ფრანციაში ასე არ არის. აქ პირველმა რევოლუციამ გლეხებს დედა-მიწა მიანიჭა და ამისთვისაც ფრანცუზების გლეხები უკეთესს მდგომარეობაში იმყოფებიან.

იმ მდგომარეობას, დაბალის ხალხისას, რომელიც გვინდა წარმოვადგინოთ, ძველი პირადი მონაობა ვერ უდრის, რადგანაც ეს იმაზედ ბევრით უკეთესი იყო. ეს არის პროლეტარიატი. ასე უწოდებენ იმ დიდ-ძალს ნაწილს ხალხისას, რომელსაც არა ვითარი საშუალო არა აქვს გამოკვებისა და მრავალი იმათგანი შიმშილით იხოცება. პროლეტარიატი უფრო იქ არის გავრცელებული, სადაც სახელმწიფოს წარმატება ფაბრიკებზედ არის დამყარებული. როგორ გამოჩნდა ეს სენი, რა თვისება აქვს იმას და რა ღონის-ძიებას უჩვენებენ იმისის მოსპობისათვის? აი რაღა დაგვირჩა ჩვენ მოსალაპარაკებელი.

ისტორია გვიმტკიცებს, რომ საშუალო საუკუნოების დასაწყისს ადამიანს უფლებას და ძალას აძლევდა უძრავი მამული; მოძრავს მამულს ფასი არ ედვა; აღებ-მიცემობა იყო მცირე და შეეხებოდა თითქმის მიწის მოსავალს;

ხელოსნობა არ იყო გავრცელებული. ქვეით-შობილი კაცი ღირსათ არ ხადოდ ფულის შეძენას: ის მისდევდა ადგილ-მამულის შემუშავებას; იმას თავისს ვალათ მიაჩნდა მხედრობა. ქვეით-შობილი და თავისუფალი კაცი ერთმანეთში თითქმის არ ერჩეოდნენ, როგორც თავისუფალი და მონა. მხოლოთ თავისუფლებს შეეძლოთ მიწის შეძენება და ამის გამო იმათ მოიპოვეს ბატონობა იმ პირებზედ, რომელიც ამ პრივილეგიის მოკლებულნი იყვნენ და იმათ მამულზედ სცხოვრობდნენ. ეს კია, რომ ერთისა და მეორის ყოფა-ცხოვრებაში განსხვავება იყო ძალიან ცოტა. აზნაური, მთავარი, თვით მეფე თითქმის ერთ გვარათ სცხოვრობდნენ და ამისთვის გლეხის მდგომარეობა ისე შეუფერებელი არ იყო, როგორც ვფიქრობთ.

დაარსდა ქალაქები. ხელოსნობას და აღებ-მიცემობას წარმატება მიეცა. ქალაქები ფულით შემწეობას აძლევენ კაროლებს, როდესაც ესენი ადგილ-მამულის არისტოკრატიას ებრძოდნენ, და ამ შემწეობის ნაცვლათ ისინი ცოტ-ცოტათ საპოლიტიკო უფლებას იძენენ. გამოჩნდა ფულის არისტოკრატია, რომელიც სხვა და სხვა ხელოსნებისაგან იყო შემდგარი და რომელიც თავისს ქვეშევრდომებს დაჩაგვრა დაუწყო. აქედამ წარმოსდგა ცეხები, ანუ როგორც ჩვენ ვიტყვით, ამქრები. ცეხებში თვით ერთმანეთში დიდი კავშირი აქვთ. ცეხის კარი გარეშე პირისთვის თითქმის დახშულია. ფულის არისტოკრატია დროს განმავლობაში უფრო და უფრო ერცელდება. მაგრამ ყოფა-ცხოვრება მდიდრისა და ღარიბის მაინც ისე განსხვავებული არ არის.

აღებ-მიცემობა განსაკუთრებით ერცელდება საშუალო საუკუნოების ბოლოდამ. მიზეზები იყო—დაახლოვება ერთის ხალხისა მეორესთან, გზების და არხების გაყვანა, ჯვაროსანი ლაშქრობა და გახშირება მსვლელობისა აღმოსავლეთში, პოვნა ამერიკისა და ხომალდით სიარულის გაძრიელება. სწავლის წინ წაწევამ გაადვილა ფაბრიკების დაწესება; მაშინებმა მოითხოვა სამუშავო ხელი, რომელიც იმდენათ მრავლდება, რამდენათაც ფაბრიკები ვრცელდება. შემოვიდა ორთქლით მუშაობა, გაკეთდა რკინის გზები, ცეცხლის გემები; ფაბრიკები და მაშინები მრავლდება; აღებ-მიცემობა გასაოცარს წარმატებაშია. ახლა ფაბრიკების ნაწარმოები იმდენი გამოდის პატარა ადგილში, ევროპაში, განსაკუთრებით ანგლიაში და ფრანციაში, რომ მთელს ქვეყანას აკმაყოფილებს. ჯერ ნახევარი საუკუნეკი არ არის, რაც ფაბრიკებში ორთქლით დაიწყეს მოქმედება! რა სიმდიდრეს შეიძინებს ევროპა მომავალში, ამისი წარმოდგენა არ შეგვიძლიან. საუბედუროთ უნდა ვსთქვათ, რომ ამ დიდებულმა ცივილიზაციამ დიდი ნაკლულევანება დაბადა.

ჩვენ, რა საკვირველია, არ ვიტყვით, რომ მუშა ხალხის მდგომარეობა ახლა ყოვლისფრით ცუდი იყოს, ვიდრე უწინ. რაც რომ შეძინებულია, იმაში იმასაც ზიარი აქვს. ზოგიერთი სავაჭრო, რომელსაც იმისნი წინაპარნი სიზმარშიაც ვერ ნახავდნენ, ისე იაფია, რომ მუშა იმას ადვილათ შეიძენს. მუშები ახლა უკეთ არიან ჩაცმულნი, უკეთესს სადგომში დგანან, უკეთესათ სჭამენ. მაგრამ თუ სხვა მხრით დავაცქერდით ამ საქმეს, სულ სხვა გამოვა. უწინ, ცეხების დროს ოსტატი თავისს შაგირდს ეპყრობოდა მკაცრათ, ახლა ფაბრიკანტი მოჯამაგირეს ისე ეპყრობა, რომ კაცობრიული გრძნობა სიშფოთეში შედის. ჩვენი მაშინები ლუკმა პურს და თავისუფლებას ართმევენ ჩვენს ფიქრებს, ჩვენს დამრთველებს და პროლეტარიატს ავრცელებენ. დიდი ზღუდე ჰყოფს ფაბრიკანტს და იმისს მუშას. პირველი ატარებს თავისს დღეს განცხრომაში და ყოველს გვარს სიამოვნებაში, მეორე, რომლის სისხლის ოფლითაც იმას სიმდიდრე შეუძენია, სცხოვრებს, ანუ უკეთა ვთქვათ, მცენარებს ჩირქიანს და ტალახით სამსეს ქოხში. ვიცით, რა გვარია იმისი შრომა? ირაჟრაჟებს თუ არა, ის მიეთრევა, ხან და ხან ძალიან შორის გზით, ფაბრიკაში, მთელი დღე თვალს და ხელს ვერ ასვენებს; ერთს მინუტს დროს ძლივს პოულობს, რომ ხმელი ლუკმა პური ან მშრალი კართოფილი ჩაყლაპოს. დაღამდა, მუშამ თვალი მოატყუა და მეორე დილას ადრიანათ ისევ საქმეს შეუდგა ისა. ასე ატარებს ბედ-კრული მთელს ცხოვრებას. ყოველს ადამიანურს გრძნობას მოკლებულია, გონება დახშულია. ის სხვა არა არის რა, როგორც ავტომატი! ან რა არის იმისი ჯილდო, ჯამაგირი? მართალია, ეს პირობაზეა დამოკიდებული; მუშას ნება აქვს უარი უთხრას ფაბრიკანტს, თუ პირობა ამას არ დაუჯდა. მაგრამ სად შეუძლიან მუშას თავისის პირობის დადება, როდესაც ცოლ-შვილი შიმშილით ეხოცება? ფაბრიკანტი შეიცდის, მუშა—ვერა. ერთის სიტყვით, იმან უნდა მიიღოს, რა პირობაც უნდა იყოს. იმისი ჯამაგირი ისეთია, რომ არა ღირს სათქმელათ. ასე რომ არ იყოს, დიდ-ძალი იმისს მოძმეთაგანი ვაებაში არ იქნებოდა. აი ფაქტი. ალბერტ დელილის შემოწმებით მუშა ხალხი, რომელიც ძლივს სცხოვრებს, შეადგენს 60-70 პროცენტს მთელის მცხოვრებლებისას. ამ რიცხვში 40 პროცენტი იღებს სამუშაო ფასს 45-ს კაპეიკს, 20 პროც.—32 კაპ., 15—16 პროც. ამასაც არა; 4—5 პროც. სცხოვრებს მოწყალეობით. რა არის ეს ჯილდო ცოლ-შვილიანის ადამიანისთვის? ამისთვისაც მრავალი იხოცება იმათში უდროო-დროთ. შეადარეს მდიდრების და ღარიბების სიკვდილის რიცხვი და ნახეს, რომ ლონდონში ხუთის წლის განმავლობაში კამმისიამ ჩამოთვალა მდიდრებში 1432-დამ მკვდარი 95. კრომერის ქუჩაში, სადაც უფრო მუშა ხალხი დგას, 1448-დამ მკვდარი იყო 155. სხვა ნაწილებში უფრო მეტი: 1386 დამ—189. ვილლერმეს ცნობით, პარიჟის შეძლე ნაწილში კვდება ერთი 58-დამ, ღარიბში—ერთი 40-დამ. ხლადვიგის გამოკვლევით, ანგლიაში მდიდარს საზოგადოებაში იხოცება, ხუთის წლის ყმაწვილებში, ასიდამ ოცი, მუშებში—ასიდამ ორმოც და ათი. საშუალო გამოანგარიშებით მდიდრები სცხოვრებენ 44 წელს, ღარიბები—მხოლოთ 22-ს. თუ ამასთანავე უბედურებს პურის ან კართოფილის სიძვირეც შეემთხვათ, ან მოხდა კრიზისი, რომელიც ხშირია ხოლმე, როდესაც მრავალი ფაბრიკა კოტრობის გამო იკეტება და როდესაც მუშა ხალხი ათი-ათასობით უსაქმოთ რჩება, მაშინ ხომ, რაღა თქმა უნდა, ერთი ოცათ ხშირდება სიკვდილი.

ნუ დავივიწყებთ, რომ მუშა ხალხი მოკლებულია ყოველს ღონისძიებას სწავლისას. ის მაღალი სიამოვნება, რომლითაც გონების გახსნა ადამიანს აჯილდოებს, იმისთვის ძალიან შორს არის. ასეც უნდა იყოს. თუ ნივთიერი წარმატება არ არის, არც გონებითი და ზნეობითი წარმატება იქნება. ჯერ ადამიანმა უნდა იზრუნვოს ჭამაზედ, საცმელზედ და სადგომზედ, მასუკან სწავლაზედ და ზნეობაზედ. რამდენათაც მომატებული დრო მიდის ნივთიერს საჭიროებაზედ, იმდენათ იმას ნაკლები დრო აქვს განათლებისთვის. თვითეულს უნდა ჰქონდეს ცხოვრების ღონისძიება. მაგრამ ჩვენ რას ვხედავთ ცივილიზაციით მოქადულს ევროპაში? დიდ-ძალი მუშა ხალხი პირუტყულს მდგომარეობაშია.

მოწინავე პირნი უჩვენებენ სხვა და სხვა ღონის-ძიებას, რომ მუშა ხალხი ამ მდგომარეობიდამ გამოვიდეს. კითხვა-წერა ვასწავლოთო, ზნეობის გზაზედ დავაყენოთო, იმათს სიმთელეზედ ვიზრუნვოთო, კრედიტი დაუწესოთო, სნეულებს ლოშპიტლები აუშენოთო, უხვის ხელით მოწყალება ვაძლიოთო და სამუშაო ფასი ავწიოთო. ყოველივე ეს გამოსცადეს, მაგრამ საქმეს არაფერი შველა მიეცა. ზევრგან არის მოწყალეობა, რომელსაც ან მმართებლობა იძლევა, ან თვით საზოგადოება. ანგლიაში ეს მოწყალეობა ხარკათ არის დაწესებული. 1748 წელს ის შეადგენდა 689 გირვანქა სტერლინგს (*); 1832 წ. ეს ციფრა ავიდა 7,036,968 გირვანქამდე. მაგრამ სიღარიბემ უფრო იმატა. პირველმა რევოლუციამ ფრანციაში სხვა აზრებიც დაბადა. გამოჩნდნენ ისეთნი პირნი, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ძველი წესი ძალით უნდა მოისპოსო. ყოველივე ნივთიერებითი უთანასწორობა უნდოდათ ამოეკვეთათ, სიმდიდრე მდიდრებისთვის წაერთვათ და ღარიბებისთვის დაერიგებინათ. ყოველივე ეს, იმათის აზრით, მმართებლობას უნდა ეკისრნა. იმასვე უნდა ეზრუნვა სახალხო შკოლების დაწესებაზედ და სამუშავო სახლების აშენებაზედ, სადაც იმას უნდა მუშა ხალხი შეეყარა და ემუშავებინა; იმათის შრომის ნაწარმოები იმათშივე გაეყო. ზოგი ამას ამტკიცებდა, რომ ყველაფერი საერთო უნდა იყოსო. როდესაც რევოლუციის ღელვარება მისწყნარდა, მაშინ რაც ამ იდეებში გონივრული და მისაღები იყო, ის ცხოვრებამ შეითვისა. იწყება კოოპერაციები ანუ ასსოციაციები, რომელნიც ჩვენს დროს ვრცელდებიან მთელს ევროპაში და რომლებზედაც მომავალს დიდი იმედი აქვს.

კოოპერაცია, ასსოციაცია, როგორც თვით ამ სიტყვების მნიშვნელობა გვიჩვენებს (cooperation თანა-მშრომელობა—association ამხანაგობა), არის მოქმედება შეერთებულის ამხანაგობით, ერთ გვარის სარგებლობისთვის, ერთის აზრით და პლანით. რასაც ერთი პირი ვერ შესძლებს, ის ძალიან ადვილია შეერთებულის ძალისთვის. ასსოციაცია ახალი საქმე არ არის. ძველათვე ადამიანები შეერთდებოდნენ ხოლმე უშიშრების დაცვისთვის, ბრძოლისთვის, ღვთის-მსახურებისთვის. ამათ ერთი და იგივე მიზანი ჰქონდათ მხედველობაში. მონაზონობა მამა-კაცებისა და დედა-კაცებისა იყო აგრეთვე ასსოციაცია. საშუალო საუკუნოებში რაინდები შეადგენდნენ ერთს დიდ-ძალს ამხანაგობას, რომელიც გავრცელებული იყო მთელს ევროპაში. იმათ ჰქონდათ ერთი და იგივე კანონი, ერთს დამყარებულს მიზანს მისდევდნენ. ჩვენს დროშიაც ხშირათ წესდება რომლისამე საქმის შესასრულებლათ კაპიტალების ამხანაგობა. რა შედეგი აღმოგვიჩინა იმ ასსოციაციებმა, რომელთაც აქ მოვიხსენებთ? პირველის ამხანაგობიდამ შესდგა საზოგადოება, სახელმწიფო. ვიცით აგრეთვე რა ძალაც მოიპოვეს რაინდებმა და ზოგი-ერთმა სარელიგიო ორდენებმა. ახლანდელს დროს დიდი სარგებლობა მიაგო ცივილიზაციას იმ ამხანაგობამ, რომლითაც კეთდება რკინის გზები, არხები, ბანკები, სხვა და სხვა საკომმერციო და სახელოსნო საქმეები. მაშა სადამე, ასსოციაციას დიდი ნაყოფი გამოაქვს; იმითი შეიძინება სხვა და სხვა გვარი გონებითი და ზნეობითი ინტერესი, მოიპოვება კაპიტალი.

უკანასკნელს დრომდე ამხანაგობის პრინციპი საზოგადოთ არ უცდიათ იქ, სადაც უფრო საჭირო იყო, ესე იგი დაბალის ხალხის შრომაში. ეს ნაკლულევანება უნდა შეამსოს კოოპერაციამ. იმან უნდა აღადგინოს შრომის სიმართლე, გაანთავისუფლოს იმ უღლისაგან, რომელიც იმისთვის დაუდვია კაპიტალს; უნდა შესცვალოს ნივთიერებითი და ზნეობითი მდგომარეობა. თუ მუშა კაცს სურს იშრომოს, ჯერ იმან ინსტრუმენტები ან იარაღები უნდა მოიპოვოს; იქონიოს მასალა; იმისთვის საჭიროა ადგილი, მაშინები; საჭიროა ღონის-ძიება იმისის და იმისის სახლობის გამოსაკვებათ. ეს ყოველივე მუშა ხალხს უნდა ჰქონდეს, ვიდრე იმისი შრომა სარგებელს მოიგებდეს. ერთის სიტყვით, მუშას უნდა და კაპიტალი. უკაპიტალოთ ის ვერას გაარიგებს. რომელს მუშასაც კაპიტალი არა აქვს, ის კაპიტალისტზედ არის დამოკიდებული. ჩვენს დროს კაპიტალისტებს სრულებით ხელში უჭირავთ ყოველივე საქმე, ყოველივე შრომა. კაპიტალისტი მტერია მუშა ხალხისა. ეს არ უნდა იყოს. როდესაც მუშა ასსოციაციის შუამავლობას მიჰმართავს, მაშინ კაპიტალი დაჰკარგავს თავისს ძალას, შრომა მონაობისაგან გამოვა, თავისუფალი გახდება და თვითოვე შეიძინებს კაპიტალს.

გაცალკევებულს მუშას რწმუნება თითქმის არა აქვს. როდესაც რამდენიმე მუშა ასსოციაციას შეადგენს, მაშინ იმათ კრედიტი აქვთ. ან რა შეიძლება გარიგდეს რამდენისამე აბაზით, რომელსაც ერთი ადამიანი გადასდებს? თუ რამდენიმე პირი ასი-აბაზობით გადასდებს ფულს, მაშინ შესდგება კაპიტალი. ჩვენ ვხედავთ, რომ იმ მუშებს, რომელნიც ერთათ მუშაობენ, უადვილდებათ კაპიტალის და კრედიტის მოპოვება, და როდესაც ამ სახით ისინი დამოუკიდებელნი ხდებიან კაპიტალისტისაგან, იმათი სვე და ყოფა-ცხოვრება უკეთესობაში შედის.

ამხანაგობას დღეს თუ ხვალ ჩვენი ხალხიც უნდა შეუდგეს. უამისოთ ის ყოველთვის გაჭირვებაში იქნება. დროს განმავლობაში იმისი მდგომარეობა უფრო ცუდათ წავა. ამისთვის გავავრცელეთ ამხანაგობაზედ სიტყვა; ამისთვისაც არ ვაპირებთ ჯერ სტატიის გათავებას: აქ გვინდა კიდევ ვუჩვენოთ, რა გვარათ გავრცელდა ის უპირველესს ევროპის სახელმწიფოებში — ანგლიაში, ფრანციაში, გერმანიაში, რა გზაზედ დაადგა ისა, რა შეიძინა იმან ან რა ძალა მოიპოვა. ამ საგანში ჩვენ წყაროთა გვაქვს ერთის გამოჩენილის ნემეცის, ედუარდ პფეიფერის თხზულება, რომელიც წლეულ გადმოითარგმნა რუსულს ენაზედ. ეს არის: Объ ассоціаціи. Настоящее положеніе рабочаго сословія и чѣмъ оно должно быть? ასსოციაციაზედ. ახლანდელი მდგომარეობა მუშა ხალხისა და რა გვარი უნდა იყოს ეს მდგომარეობა? ვინც კი რუსული იცის, ის ძალიან კარგსა იქს, რომ იმან მოიპოვოს პფეიფერის თხზულება და სხვა ამ გვარი თხზულებაები, რომლებიც ახლა რუსულათ ითარგმნება.

(შემდეგი იქნება).

(*) გირვანქა სტერლინგი 6 მანათზედ მეტია.

## საკაზინო განცხადებაები.

(Закавказскій Вѣстникъ, 1866 г. № 24.)

1) ტფილისის გუბერნიის სამმართველოში გასასყიდათ დანიშნეს შემდეგი უძრავი მამული, რომელიც ეკუთვნის ტფილისის მცხოვრებს არუთინას და იმის შვილებს: ოჰანეზას და მიცვალებულს მურად მურადოვებს. ეს მამული იმყოფება ტფილისის გუბერნიაში და უეზდში, ლორის საპრისტავოში, სოფ. სანაინში და შეიცავს ერთს ვენახს და ბაღს, ცარიელს და სახნავს მიწას, სახლს თავისის სამოსამსახუროებით და დაფასებულია 1578 მან. ამ მამულის გაყიდვის ვადა დანიშნულია 3 მომავალს სეკტემბერს 1866 წელს, 11 საათზედ.

2) ამავე სასამართლოში გაისყიდება უძრავი მამული, რომელიც ეკუთვნის ტფილისის მოქალაქის მალაქელ მაკაროვის მემკვიდრეებს და იმყოფება ქ. ტფილისში, 2 კვარტალის 2 ნაწილში. ეს მამული შეიცავს ერთს ქვიტკირის ორ-ეტაჟიანს სახლს თავისის სამოსამსახუროებით, ეზოთი და მიწით, რომლის სივრცე არის 113 საჟ. $8\frac{1}{2}$ არშინი. ამას მობმული აქვს სახლი ორის დუქნით. ეს მამული დაფასებულია 1736 მ. და იმის გასყიდვის დრო არის დანიშნული 1-ს მომავალს სეკტემბერში 1866 წ., 11 საათზედ.

3) ტფილისის უეზდის სამსჯავროში დანიშნეს გასასყიდათ უძრავი მამული, რომელიც მიცვალებულის მაიორის იაგორ ალენიჩის მემკვიდრეს, იმის შვილს პოდპორუჩიკს სამსონ ალენიჩს ეკუთვნის ეს მამული იმყოფება ქ. ტფილისში, 4 კვარტალის 2 ნაწილში. შეიცავს ერთს ეტაჟიანს სახლს და დაფასებულია 400 მან. ამ მამულის გაყიდვის ვადა არის დანიშნული 7 მომავალს სეკტემბერს, 11 საათზედ.

4) თელავის და სიღნაღის უეზდის სამსჯავროში დაინიშნა გასასყიდათ ქვითკირის ორ ეტაჟიანი სახლი ეზოთი, რომელიც ეკუთვნის თელავის მცხოვრებელს გასპარ უაზარის ძეს თათულოვს და იმყოფება ტფილისის გუბერნიაში, უეზდის ქალაქს თელავში და დაფასებულია 120 მან. ამ მამულის გაყიდვის ვადა დანიშნულია 11 ივლისს 1866 წ., 11 საათზედ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 24-го іюня 1866 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი გ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.